უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ᲪᲝᲓᲜᲘᲡᲐ

ᲐᲣᲓᲘᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲣᲓᲘᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ᲨᲞᲡ „ᲞᲡᲞ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ“

ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐ

2011 წლის 1 იანვარი - 2011 წლის 31 დეკემბერი

2012

ს ა რ ჩ ე ვ ი:

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა ----------3
სრული შემოსავლების ანგარიშგება ----------4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----------5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ----------6
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება ----------7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები----------8

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

ლიცენზია ზოგად აუდიტში № ზ-024. საიდენტიფიკაციო № 211344188. ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50 (ფაქსი), 239-33-56

1. დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება **„პსპ დაზღვევის“**-ს

2011 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტორის – შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისას“ მიერ ჩატარებული იქნა შპს **„პსპ დაზღვევის“**-ს (შემდგომში – *კომპანია*) ფინანსური ანგარიშგების (თან ერთვის) აუდიტი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2011 წლის სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას საანგარიშო პერიოდისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და განმარტებებს.

2. *კომპანიის* ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების წარმოებაზე და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და იმპლემენტაციას, რომელიც არ უნდა შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს, თაღლითობისა და/ან შეცდომების გამო. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში. აუტიდის პროცედურებს შერჩევა დამოკიდებულია აუდოტორების მოსაზრებებზე და ხდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას მატერიალური შეცდომების ან თაღლითობის შედეგად ანგარიშგების დამახინჯების რისკი. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის და სააღრიცხვო ჩანაწერების სისწორის შეფასებას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

3. აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, შპს **„პსპ დაზღვევის“**-ს 2011 წლის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების *(IFRS)* მიხედვით, საქართველოს საგადასახადო და სადაზღვევო კანონმდებლობის დაცვით. წარმოდგენილი 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება ყველა ძირითად ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს *საწარმოს* ფინანსურ მდგომარეობას, შემოსავლებს და ხარჯებს, ფულადი სახსრების მოძრაობას 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოს მდგომარეობით.

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისას“ გენერალური დირექტორი,
სერტიფიცირებული აუდიტორი

გიორგი ცერცვაძე

14.05.2012 წ

შპს "პსპ დაზღვევა"
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2011 წლის 1 იანვრიდან – 2011 წლის 31 დეკემბრამდე

	შენიშვნა	2 011	2 010
მოზიდული სადაზღვევო პრემია		5 780 290	584 194
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(2 481 149)	(491 358)
გამომუშავებული პრემია:	3	*3 299 142*	*92 836*
სადაზღვევო ზარალები	4	(5 500 247)	(44 824)
მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი	5	(289 015)	(29 210)
ბროკერის საკომისიოს ხარჯები	6	(16 926)	
მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან:		*(2 507 045)*	*18 802*
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(821 310)	(105 169)
სულ საოპერაციო მოგება:		*(3 328 355)*	*(86 367)*
ფინანსური შემოსავალი	8	193 902	113 149
ფინანსური ხარჯი		(5 426)	
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		(84 101)	
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		(3 202)	
მოგება დაბეგვრამდე:		(3 227 182)	26 782
მოგების გადასახადი	9	(474 408)	7 472
პერიოდის მოგება (ზარალი)		(2 752 773)	19 310

დირექტორი _____ *ზ. დოლიძე*

ბუღალტერი _____ *ქ. ტატიშვილი*

	შენიშვნები	ბალანსი 01.01.2012	ბალანსი 01.01.2011
სულ მიმდინარე აქტივები:		**7 103 556**	**2 277 924**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	10	3 697 533	1 689 323
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	11	3 235 279	526 597
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		202	
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	12	112 806	56 149
წინასწარ გადახდილი გადასახადები		10 091	
მისაღები პროცენტები	13	47 644	5 855
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2 296 273**	**745 048**
ძირითადი საშუალებები	14	174 503	117 381
არამატერიალური აქტივები		4 016	3 806
გადავადებული საგადასახადო აქტივი	15	466 936	
მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შევსებაზე		1 650 817	623 860
აქტივები სულ:		**9 399 829**	**3 022 972**
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2 212 791**	**58 982**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	16	139 564	1 400
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი		289 015	29 210
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი		1 751 463	20 709
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	17	32 749	7 664
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**2 974 650**	**498 830**
გადავადებული მოგების გადასახადი			7 472
გადავადებული შემოსავალი	18	2 974 650	491 358
ვალდებულებები სულ:		**5 187 442**	**557 812**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	19	7 000 000	2 500 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)		(2 787 613)	(34 840)
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		(2 752 773)	
კაპიტალი სულ:		**4 212 387**	**2 465 160**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		***9 399 829***	***3 022 972***

დირექტორი _____ *ზ. დოლიძე*

ბუღალტერი _____ *ქ. ტატიშვილი*

	2011 წელი	2010 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	2 587 294	41 314.09
ანაზღაურებული ზარალები	(3 304 909)	(20 472)
გადახდილი ხელფასები	(298 200)	(51 954)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(291 020)	(16 224)
მიმწოდებელზე გადახდილი ფულადი სახსრები (ავანსები)	(8 590)	(56 149)
გადახდილი საიჯარო ქირა	(330)	(1 200)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა და ჯარიმები	(136 382)	(26 568)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***(1 452 138)***	***(131 252)***
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(75 738)	(123 301)
მიღებული პროცენტები	152 657	107 293
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***76 919***	***(16 008)***
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციების ემისიისგან / კაპიტალის ზრდისგან	3 473 043	1 876 140
გადახდილი დივიდენდები		(51 442.50)
გადახდილი პროცენტები	(5 425.95)	
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	***3 467 617***	***1 824 698***
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)	(84 188)	11 886
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	***2 008 210***	***1 689 323***
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	**1 689 323**	**-**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს:	**3 697 533**	**1 689 323**

დირექტორი _____ *ზ. დოლიძე*

ბულალტერი _____ *ქ. ტატიშვილი*

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ:
ნაშთი 2010 წლის 1 იანვრისთვის	1 500 000	-		**1 500 000**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	1 000 000			**1 000 000**
გაცხადებული დივიდენდები			54 150	
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			19 310	**19 310**
ნაშთი 2011 წლის 1 იანვრისთვის	**2 500 000**	-	**(34 840)**	**2 465 160**
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)	4 500 000			**4 500 000**
გაცხადებული დივიდენდები				
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(2 752 773)	**(2 752 773)**
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისათვის	**7 000 000**	-	**(2 787 613)**	**4 212 387**

დირექტორი _____ *ზ. დოლიძე*

ბუღალტერი _____ *ქ. ტატიშვილი*

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „პსპ დაზღვევა" (შემდგომში – კომპანია) დაარსდა 2007 წლის 24 დეკემბერს საქართველოს *"მეწარმეთა შესახებ"* კანონმდებლობის შესაბამისად. 2010 წლის 16 აპრილს კომპანიამ აიღო სადაზღვევო ლიცენზია, რომლითაც 2011 31 დეკემბრის მდგომარეობით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას. *კომპანიის* გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი უდრის 7000000 ლარს, რომლიდანაც შევსებულია 5349183 ლარი. მისი 100% დამფუძნებელი არის საქართველოს მოქალაქე, კახაბერ ოქრიაშვილი. საწარმო დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №148/3.

კომპანიას ფლობს ორი სახის ლიცენზიას სადაზღვევო საქმიანობაში – სიცოცხლის და არა-სიცოცხლის სადაზღვევო პროდუქტებთან დაკავშირებით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა, თუმცა 2011 წლის მანძილზე კომპანია ახდენდა ძირითადად ჯანმრთელობის დაზღვევას.

2011 წლის განმავლობაში კომპანიას ჰყავდა 56 ძირითად შტატში მომუშავე თანამშრომელი.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

კომპანია თავის შემოსავალს გამოიმუშავებს ჯანმრთელობის, სამოგზაურო და ავტომობილების სადაზღვევო ხელშეკრულებების დადებით (ანუ იგივე სადაზღვევო პოლისების) გაცემით. სადაზღვევო ხელშეკრულებები განსაზღვრულია როგორც ხელშეკრულებები, რომლებიც შეიცავენ სადაზღვევო რისკებს მათი ამოქმედების მომენტიდან. მას შემდეგ რაც ხელშეკრულება კლასიფიცირდება როგორც სადაზღვევო, ის განიხილება სადაზღვევო ხელშეკრულებად მისი მთელი მოქმედების პერიოდის განმავლობაში. კომპანია პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს, დღის სიზუსტით, აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია პოლისის მოქმედება. პოლისის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდგომ ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეებზე).

სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავალი"-ის მუხლში.

სხვა არასადაზღვევო ხარჯები

კომპანია აღიარებს სხვა არასადაზღვევო ხარჯებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

გადავადებული შემოსავალი

კომპანია ახდენს მომავალი პერიოდების შემოსავალების გადავადებას და ასახავს მათ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „გადავადებული შემოსავალის" გრძელვადიან ვალდებულებათა მუხლში.

სადაზღვევო რეზერვები

სადაზღვევო რეზერვები ფორმირების წესს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი. 2011 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას გააჩნდა კანონმდებლობით განსაზღვრული სამივე რეზერვი – *გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი და მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი.*

მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი წარმოადგენს ლარში შექმნილ საანგარიშო პერიოდის ანარიცხებს, რომელიც იქმნება წლის ბოლოს იმ სადაზღვევო ზარალებისთვის რომლებიც განეკუთვნებიან საანგარიშო პერიოდს, მაგრამ ამ პერიოდის განმავლობაში მათ შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. ეს რეზერვი იქმნება სადაზღვევო პოლისების წმინდა რისკისგან გამომდინარე, ანუ გადაზღვევის პოლისების არსებობის გათვალისწინებით.

ანარიცხები

ანარიცხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ტარდება იმ შემთხვევაში თუ წარსული გარემოებების შედეგად კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის გასვლა აღნიშნული ვალდებულების დასაფარავად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ნაღდი ფული კომპანიის სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფული განთავსებული საბანკო დეპოზიტებზე.

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან ბალანსში აისახება მოსალოდნელი მისაღები თანხების ოდენობით, საეჭვო სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების გათვალისწინებით.

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან მოიცავენ გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებით დაზღვეულებისაგან მისაღებ ნაშთებს.

სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურება ხდება ყველა სადაზღვევო ხელშეკრულების ნაშთზე იმ შემთხვევაში, როდესაც ჩნდება გაუფასურების საშიშროება. მოთხოვნების გაუფასურება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იმის მტკიცებულება რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ მიიღოს ყველა გადასახდელი თანხა კონტრაქტების (პოლისების) პირობების შესაბამისად. ამავე დროს ამის შეფასება სანდოდ უნდა იყოს შესაძლებელი

სხვა მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა სხვა დანარჩენ მიმდინარე მოთხოვნებს სადაზღვევო მოთხოვნების, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ისტორიული (პირველადი) ღირებულებით ცვეთის გათვალისწინებით. პირველადი ღირებულება შეიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ძირითადი საშუალებების შეძენასთან. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარიმართება კომპანიისაკენ და აქტივის ღირებულების გამოთვლა შესაძლებელია. რემონტთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება შესაბამისი პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოანგარიშება ხდება მათი პირველადი ან გადაფასებული ღირებულების სალიკვიდაციო ღირებულებამდე თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, კერძოდ:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 10 წელი;
- კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები - 5 წელი;

არამატერიალური აქტივები

ლიცენზიები

ლიცენზიები ასახულია თავდაპირველი ღირებულებით. ლიცენზიებს აქვთ შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა და აღირიცხებიან თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოანგარიშება ხდება ღირებულების თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (15 %, 6,7 წელი).

კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეზენასა და მონტაჟზე გაწეული დანახარჯების მიხედვით. ამ დანახარჯების ამორტიზაცია ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (15%, 6,7 წელი). კომპიუტერული პროგრამების შემუშავებასა და მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯები გათვალისწინებულია ხარჯებში მათი წარმოქმნის მიხედვით. დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული ცალკე აღებული ინდივიდუალური პროგრამული პროდუქტის შემუშავებასთან (სამედიცინო დაზღვევის პროგრამა „ესკულაპი"), რომელსაც კომპანია გააკონტროლებს და რომლის გამოყენებიდანაც, სავარაუდოდ, ერთ წელზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მიღებული იქნება შემოსავალი, რომელიც გადააჭარბებს თვითღირებულებას, აღირიცხება არამატერიალური აქტივების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები შეიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას და გადანაწილებადი ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები, რომლებიც აღიარებულია აქტივებად, ამორტიზირდება სასარგებლო გამოყენების ვადის.

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენენ მოწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხულ ვალდებულებებს.

გადასახადები

მოგების გადასახადი შედგება მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადისაგან. სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მოგების გადასახადი პირდაპირ აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის უკავშირდება უშუალოდ კაპიტალის მუხლებს. ასეთ შემთხვევებში მოგების გადასახადი აისახება პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე საგადასახადო ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე წლის გადასახდელ გადასახადს, რომლითაც იბეგრება ერთი წლის შემოსავალი იმ განაკვეთით, რომელიც მოქმედებს საანგარიშო პერიოდისათვის. ასევე ამ დროს ხდება წინა წლებში გადახდილი გადასახადების კორექტირება.

გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, რომელიც გამოითვლება ფინანსური ანგარიშგებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნების თანხებს შორის დროებითი სხვაობით. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები გაიქვითება იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამის კანონიერი უფლება, ანუ თუ ეს აქტივები და ვალდებულებები ეხება ერთსადაიმავე საგადასახადო ორგანოს.

3. მოზიდული სადაზღვევო პრემია

2011 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო შემოსავალი ჯანმრთელობის, ავტომობილების და სამოგზაურო დაზღვევის გაცემიდან.

	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)	2011 (ლარი)
	სამედიცინო დაზღვევა	ავტომობილების დაზღვევა	სამოგზაურო დაზღვევა	სულ
მოზიდული ჯამური პრემია	5 684 402	91 105	4 783	5 780 290
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(2 441 874)	(37 397)	(1 877)	(2 481 149)
	3 242 528	53 708	2 906	3 299 142

4. სადაზღვევო ზარალები

2011 წლის განმავლობაში *კომპანიის* სადაზღვევო ზარალებს წარმოადგენდა სამედიცინო შემთხვევებიდან და ავტომანქანების (კასკო) შემთხვევებიდან დამდგარი ზარალების ხარჯებს 5500247 ლარის ოდენობით.

5. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი

კომპანია მომხდარ მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვს ქმნის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. 2011 წელს კომპანიის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი წარმოადგენდა კომპანიის მიერ 2011 წლის განმავლობაში მოზიდული სადაზღვევო პრემიის, 5780290 ლარის 5% - 289015 ლარი.

6. ბროკერების საკომისიოს ხარჯები

საანგარიშო პერიოდში კომპანიის საკომისიო ხარჯებს ძირითადათ წარმოადგენდა სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან დაკავშირებული აგენტებისათვის გადახდილი ანაზღაურება. საკომისიო ხარჯები როგორც წესი წარმოადგენენ ერთჯერად, ფიქსირებულ გადასახადებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი სადაზღვევო კონტრაქტების (პოლისების) მოზიდვასთან კომპანიაში. მათი აღრიცხვა ხდება სისტემატურად, მომსახურების უშუალო მიღების პერიოდებში.

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	2011 წელი (ლარი)	2010 წელი (ლარი)
შრომის ანაზღაურება	411 471	72 094
იჯარა	116 240	1 200
მარკეტინგის ხარჯი	5 600	12 618
საკანცელარიო ხარჯები	85 123	8 390
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	44 051	10 000
საბანკო ხარჯები	8 434	867
საკონსულტაციო ხარჯი	49 177	-
ცვეთა და ამორტიზაცია	21 079	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	10 174	-
ოჯახის ექიმების მომსახურების ხარჯები	22 982	-
სხვა ხარჯი	46 980	-
	821 310	105 169

8. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსურ შემოსავალს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლები საქართველოს ხუთ ბანკში განთავსებულ დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები:

	2011 წელი (ლარი)	2010 წელი (ლარი)
ბანკი ქართუ	160 740	112 975
ბანკი რესპუბლიკა	6 247	-
ლიბერთი ბანკი	17 849	7
საქართველოს ბანკი	368	88
თიბისი ბანკი	8 698	78
	193 902	113 149

კომპანიის ფინანსური ხარჯი შედგებოდა 2011 წლის განმავლობაში მიღებულ საბანკო გარანტიებზე (სატენდერო და ხელშეკრულების შესრულების გარანტიები) გადახდილი გადასახადებისგან – 5426 ლარის ოდენობით.

9. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება:

	2011 წელი (ლარი)	2010 წელი (ლარი)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(3 227 182)	26 782
მოგების გადასახადის ეფექტური პროცენტი	15%	15%
ფინანსური მოგების გადასახადი	(484 077)	4 017
გამოუქვითავი ხარჯებით გამოწვეული ცვლილება	6 608	3 454
დამატებითი მოგება გადასახადის მიზნებისათვის	3 061	
მოგების გადასახადის შემოსავალი (ხარჯი)	(474 408)	7 471

10. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	ნაშთი 31.12.2011 (ლარი)	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	7 194	30 046
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	743 323	44 256
დეპოზიტები	2 947 016	1 615 021
	3 697 533	1 689 323

11. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება ჯანმრთელობის და ავტომობილების დაზღვევიდან 3235279 ლარის ოდენობით.

12. სხვა მიმდინარე მოთხოვნები

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სხვა მიმდინარე მოთხოვნებს შემდეგი სტრუქტურა აქვს:

	ნაშთი 31.12.2011	ნაშთი 31.12.2010
	(ლარი)	(ლარი)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	112 286	56 149
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე	520	
	112 806	56 149

13. მისაღები პროცენტები ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან მისაღები ჰქონდა დარიცხული პროცენტები შემდეგი სტრუქტურით:

	ნაშთი 31.12.2011	ნაშთი 31.12.2010
	(ლარი)	(ლარი)
თი ბი სი ბანკი	8 393	78
ლიბერთი ბანკი	17 137	7
საქართველოს ბანკი		88
ბანკი რესპუბლიკა	4 870	
ქართუ ბანკი	17 243	5 683
	47 644	5 855

14. ძირითადი საშუალებები და არამატერილური აქტივები

	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება					
ნაშთი 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	104590	14590		4122	**123301**
დამატება	8937	68502		956	**78394**
შემცირება					
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**113526.35**	**83092.32**	**0**	**5078**	**201696**
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება					
ნაშთი 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	882	917		315	**2113**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	9587	10730		761	**21078**
ჩამოწერა					**0**
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**10469**	**11647**	**0**	**1077**	**23193**

15. გადავადებული საგადასახადო აქტივი

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2011					
ძირითადი საშუალებები	174 503	-	(174 503)	15%	(26 175)
არამატერიალური აქტივები	4 016	3 503	(514)	15%	(77)
საგადასახადო ზარალი	-	3 287 926	3 287 926	15%	493 189
ზარალის ანარიცხი			-		-
სულ	**178 519**	**3 291 429**	**3 112 910**		**466 936**

16. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები – 139564 ლარის ოდენობით წარმოადგენდნენ 2011 წელს დარიცხულ, მაგრამ წლის ბოლოსთვის ჯერ გადაუხდელ საერთო ადმინისტრაციულ ხარჯების ვალდებულებას. ამ თანხიდან 117000 ლარს წარმოადგენს შპს „პსპ ფარმა"-ს კრედიტორული დავალიანება, რომელიც წარმოადგენს 2010 და 2011 წლის განმავლობაში *კომპანიის* მიერ საიჯარო ვალდებულებას.

17. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2011 (ლარი)	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)
გადასახდელი გადასახადები	398	149
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე		52
გადასახდელი ხელფასები	29 752	7 463
საბროკერო მომსახურება	2 608	
	32 758	**7 664**

18. გადავადებული შემოსავალი

	ნაშთი 31.12.2011 (ლარი)	ნაშთი 31.12.2010 (ლარი)
გადავადებული შემოსავალი სამედიცინო დაზღვევიდან	2935326	491358
გადავადებული შემოსავალი სამოგზაურო დაზღვევიდან	1927	
გადავადებული შემოსავალი ავტოდაზღვევიდან	37397	
	2 974 650	**491 358**

19. კაპიტალი

კომპანიის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი უდრის 7000000 ლარს, რომლიდანაც შევსებულია 5349183 ლარი. დანარჩენი – 1650817 ლარი. 2011 წელს მოხდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა პარტნიორის გადაწყვეტილებით - 4500000 ლარით.

2011 წლის განმავლობაში დივიდენდები არ გამოცხადებულა.

20. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.